საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოვლის მემინდვრია

თოვლის მემინდვრია (Chionomys nivalis), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა. გავრცელებულია დას. ევროპაში, მცირე აზიაში, სირიაში, პალესტინაში, თურქეთში, ირანში, რუსეთში. ბინადრობს მთის მდელოებზე, ქვანაყარ და კლდოვან სტაციებში. ვრცელდება ტყიდან სუბნივალურ ზონამდე. არსებობს რამდენიმე ქვესახეობა. საქართველოში გვხვდება თრიალეთური თ. მ. (Chionomys nivalis trialeticus) ბორჯომის ხეობაში, ბაკურიანში, ჯავახეთში. სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს.

ლიტ.: ე ნ უ ქ ი ძ ე გ., ცხრაწყაროს ალპური ზონის ბიოცენოზის ზოგიერთი ხერხემლიანი ცხოველი, «საქართველოს მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტის შრომები», ტ. 8, თბ., 1948; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 3, თბ., 1963.

გ. ენუქიძე